სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/25

ქ. თბილისი

7 მარტი 2025 წ.

„სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის #01-05-04/253 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, სტუ-ის ვიცე-რექტორის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 07 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის #01-05-04/253 დადგენილებაში და დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოში მიღებული უმაღლესი განათლების მქონე პირისთვის, გარდა ამ დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით ჩარიცხული პირისა:

ა.ა) ყველა პროგრამაზე - 4000 ლარი;

ბ) სხვა პირისთვის, გარდა ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტში მითითებული პირისა:

ბ.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 4000 ლარი;

ბ.ბ) რუსულენოვან პროგრამაზე - 8000 ლარი;

ბ.გ) ინგლისურენოვან პროგრამაზე - 12500 ლარი.".

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტი გავრცელდეს 2021/2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩარიცხულ (მათ შორის მობილობის წესით ჩარიცხული) სტუდენტებზე, ხოლო 2022/2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან - სტატუსაღდგენილ სტუდენტებზე.

3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**